უცხო ენის ინსტიტუციონალური ტესტირება

თსუ-ის მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მსურველებისთვის

ხშირად დასმული კითხვები

1. **რა არის ენის ინსტიტუციონალური ტესტირების მიზანი?**
   ენის ინსტიტუციონალური ტესტირების მიზანია იმ სტუდენტების ხელშეწყობა, რომელთაც აქვთ სურვილი მონაწილეობა მიიღონ თსუ-ის მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამებში, მაგრამ ვერ აკმაყოფილებენ კონკურსის წინაპირობას [უცხო ენის ცოდნის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი ვალიდური დოკუმენტი].

2. **როდის ტარდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?**
   ენის ინსტიტუციონალური ტესტირება ტარდება წელიწადში ორჯერ, შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დასაწყისში.

3. **რომელ ენაში ტარდება ტესტირება?**
   ენის ინსტიტუციონალური ტესტირება ტარდება 8 უცხოურ ენაში, ესენია: ინგლისური, გერმანული, იტალიური, პორტუგალიური, ფრანგული, ბერძნული, ესპანური და თურქული.

4. **ფასიანია თუ არა ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?**
   თსუ-ის სტუდენტებისა და პერსონალისთვის ენის ინსტიტუციონალური ტესტირება არის უფასო.

5. **რამდენ ხანს მოქმედებს ჩაბარებული ენის ინსტიტუციონალური ტესტირების შედეგები?**
   ენის ინსტიტუციონალური ტესტირების შედეგები თსუ-ის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი პროგრამებისთვის მოქმედებს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში.

6. **რამდენ ქულიანი ტესტი?**
   ტესტი არის 100 ქულიანი

7. **რამდენი ქულა ითვლება გამსვლელად თსუ-ის მიერ ადმინისტრირებულ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფლების მისაღებად?**
   იმისათვის, რომ სტუდენტს მიეცეს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის უფლება, აუცილებელია, მან საკონკურსო ენაში დააგროვოს მინიმუმ 71 ქულა.

8. **ანაცვლებს თუ არა თსუ-ის ენის ინსტიტუციონალური ტესტირება იმ კონკურსების წინაპირობას, სადაც ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი მოთხოვნილია საკონკურსო დოკუმენტაციის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად?**
   არა, იმ კონკურსებში, სადაც ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი სავალდებულო მოთხოვნად არის მითითებული, თსუ-ის ენის ინსტიტუციონალური ტესტირების შედეგი არ ანაცვლებს ამ მოთხოვნას.

9. **შესაძლებელია თუ არა თსუ-ში ჩაბარებული ენის ინსტიტუციონალური ტესტირების სერთიფიკატის გამოყენება იმ საერთაშორისო კონკურსებსა და გაცვლით პროგრამებში, რომლის ადმინისტრირება არ ხდება თსუ-ის მიერ?**
   არა, თსუ-ის მიერ ორგანიზებული ენის ინსტიტუციონალური ტესტირების შედეგი ვალიდურია მხოლოდ თსუ-ის მიერ ადმინისტრირებული გაცვლითი და მობილობის პროგრამებისთვის.

10. **გაიცემა თუ არა სერთიფიკატი ტესტირების წარმატებით გავლის [მინიმუმ 71 ქულა] შემთხვევაში?**
   არა, რამდენადაც ამ ტესტირების ვალიდურობა შემოიფარგლება მხოლოდ თსუ-ის მიერ ადმინისტრირებული პროგრამებით, ინფორმაცია თსუ-ში აღნიშნული პროგრამების კოორდინატორებს მიეწოდება შიდა ქსელით და ინდივიდუალური სერთიფიკატი არ გაიცემა.

11. **სად იქნება შესაძლებელი ენის ინსტიტუციონალური ტესტირების შედეგების ნახვა?**
   ენის ტესტირების შედეგები დაიდება დაშიფრულად თსუ ვებ გვერდზე.

12. **რა შემთხვევაში არის საჭირო ენის ინსტიტუციონალური ტესტირების გავლა?**
   იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს არ აქვს უცხო ენის მოქმედი საერთაშორისო სერთიფიკატი(აღებული უკანასკნელი 2 წლის მანძილზე, B2 დონე) და სურს მონაწილეობა მიიღოს თსუ-ის მიერ ადმინისტირებულ გაცვლით პროგრამებში, მან უნდა გაიაროს ენის ინსტიტუციონალური ტესტირება.

13. **ვის შეუძლია ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაში მონაწილეობის მიღება?**
   სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე თსუ-ის ბაკალავრიატის მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, მაგისტრატურის პირველი და მეორე, დოქტორანტურის პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრის სტუდენტებს. სადოქტორო სტიპენდიებზე განაცხადის გაკეთების მსურველ მე-5 და მე-6 სემესტრის დოქტორანტებს, რომლებიც ნაშრომის სირთულიდან გამომდინარე ვერ ახერხებენ 6 სემესტრში სწავლის დასრულებას და აუცილებლად უწევთ სემესტრ(ებ)ის დამატება და ამ ინფორმაციას მათი ფაკულტეტი ცნობით დაადასტურებს, შეძლებენ ენის ტესტზე დარეგისტრირებას და გაცვლითი პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მიღებას (ცნობა იგზავნება reference@tsu.ge).

14. **შეუძლია თუ არა თსუ-ის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს ტესტირებაში მონაწილეობის მიღება?**
   დიახ, შეუძლია.

15. **როგორ ხდება ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე რეგისტრაცია?**
   ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე რეგისტრაცია შესაძლებელია ელექტრონულ სარეგისტრაციო სისტემაში mobility.tsu.ge, რომელიც იხსნება ტესტირებამდე ორი თვით ადრე. ინფორმაცია ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებასთან დაკავშირებით ქვეყნდება თსუ ვებ გვერდზე სიახლეების გრაფაში ტესტირების თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე.

16. **თუ სტუდენტმა ინსტიტუციონალური ენის ტესტირება გაიარა მაგალითად შემოდგომის სემესტრში, აქვს თუ არა მას უფლება გაზაფხულის სემესტრშიც მიიღოს მონაწილეობა?**

რა თქმა უნდა, სტუდენტს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაში ორივე სემესტრში, თუმცა უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ კონკურსში მონაწილეობის წინაპირობად ვალიდურ ქულად ჩაითვლება ბოლოს მიღებული შედეგი.

17. **არის თუ არა შესაძლებელი რამდენიმე ენის ტესტირების ერთდროულად გავლა?**
არა, ერთ სემესტრში მხოლოდ ერთი ენის ტესტირების გავლა არის შესაძლებელი.

18. **რამდენ ხანს გრძელდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?**
ენის ინსტიტუციონალური ტესტირება გრძელდება სამი საათის განმავლობაში.

19. **შესაძლებელია თუ არა ტესტირების თარიღის და საათის ინდივიდუალურად არჩევა?**
არა, ტესტირება ტარდება სემესტრში ერთხელ წინასწარ დადგენილ მისამართზე, წინასწარ განსაზღვრულ დღესა და საათზე ჯგუფურად. ტესტირების ინდივიდუალურად ჩაბარება არ არის შესაძლებელი.

20. **შესაძლებელია თუ არა შედეგის გასაჩივრება?**
შედეგის გასაჩივრება არ ხდება, თუმცა, წინასწარი განცხადების საფუძველზე, შესაძლებელია საკუთარი ნაშრომის ნახვა თსუ საგამოცდო ცენტრში.

21. **სად ტარდება ენის ინსტიტუციონალური ტესტირება?**
ენის ინსტიტუციონალური ტესტირება ტარდება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის ქ. N11.

22. **რა უნდა წარადგინოს სტუდენტმა ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე შესვლისას?**
ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე შესვლისას სტუდენტმა თან უნდა იქონის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ID ბარათი).

23. **როგორ მივიღოთ დამატებითი ინფორმაცია ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე?**
ენის ინსტიტუციონალურ ტესტირებაზე დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელ-ფოსტაზე reference@tsu.ge ან თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტში (მისამართი: I კორპუსი, პირველი სართული, ოთახი 121).